26.04.2024წ.

განმარტებითი ბარათი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N29 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

I. წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში იცვლება შემოსულობების და გადასახდელების მოცულობები. ცვლილება გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის N322 განკარგულებით „მუნიციპალიტეტებისათვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შესახებ“ მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფით, მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების დაზუსტებით და წლის დასაწყისისთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილებით:

II. იზრდება შემოსულობები 337 653 ლარით და ხდება 34 863 009 ლარი. მათ შორის:

1. იზრდება გრანტები 30 000 ლარით (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) და ხდება 12 636 456 ლარი.

2. იზრდება შემოსავლები არაფინანსური აქტივების კლებიდან 307 653 ლარით და ხდება 607 653 ლარი.

III. მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილება განისაზღვრა - 9 167 435 ლარის ოდენობით.

IV. იზრდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 1 293 630 ლარით და ხდება 44 030 444 ლარი. მათ შორის:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსება განისაზღვროს 22 868 053 ლარით.
2. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება განისაზღვროს 2 215 700 ლარით.
3. განათლების დაფინანსება განისაზღვროს 5 521 215 ლარით.
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსება განისაზღროს 2 915 843 ლარით.
5. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება განისაზღვროს 5 300 576 ლარით.

აღნიშნული ცვლილებით, ბიუჯეტის გეგმაში შესატანი, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში.

V. შემოთავაზებული ცვლილებების პროექტით ცვლილებები უნდა შევიდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N29 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

VI. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის დამტკიცების ოპტიმალურ ვადად მიჩნეულია 2024 წლის მაისის თვის პირველი დეკადა.

VII. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს წარადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი და საფინანსო სამსახურის უფროსი.

დანართი

N	ნორმატი ული აქტი	დასახელება	მთლიანი ღირებულება	სახელმწიფ ო ბიუჯეტი	ადგილებრი ვი ბიუჯეტი
1		საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული, ახალგაზრდული პროექტებისა და კონკურსების დაფინანსება/ თანადაფინანსება	15000		15000
2		სოფელ აფენში სკვერის მიმდებარედ გზის კეთილმოწყობა	193486		193486
3		სოფ.ბაისუბანში სკვერის მოწყობა	40187		40187
4		სოფ.მშვიდობიანში სკვერის მოწყობა	23536		23536
5		სოფ.საქობოში სკვერის მოწყობა	25891		25891
6		სოფ.შრომაში სკვერის მოწყობა	56353		56353
7		სოფ.პატარაგორზე სკვერის მოწყობა	20809		20809
8		სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები	45000		45000
9		ქ.ლაგოდეხში, კუდიგორის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია	158273		158273
10		სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია (ა(ა)იპ)	30000		30000
11		გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (ა(ა)იპ)	20000		20000
12		დასუფთავება და ნარჩენების გატანა (ა(ა)იპ)	70000		70000
13		მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება (ა(ა)იპ)	40000		40000
14		სოფ. ნამესრალში მინი სტადიონის მოწყობა	25070		25070
15		სოფ. ონანაურში სკვერის მოწყობა	50000		50000
16		სოფ. კაბალში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა	243501		243501
17		სოფელ შრომაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	196524		196524
18	N322	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	30000	30000	
19		სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	10000		10000